ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №74658

ნომერი: AR127322

თარიღი : 02.03.2012

გაცემის თარიღი : 09.03.2012

გაცნობის თარიღი : 10.03.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "სარაჯიშვილი"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზი ხუბაშვილი პ/ნ 01011063475
- თბილისი ვაზისუბნის IV მ/რ II კვ. კორ. 2 ბ. 41

ორგანიზაცია:

- შპს ,,იბერია-95" კოდი: 200031125

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ თქვენი AR126162 განცხადებით შემოსულ დოკუმენტაციაზე სამსახურმა #69501 გადაწყვეტილებით დაგიდგინათ გარკეული სახის ხარვეზები, რაც თქვენი მხრიდან არ არის გათვალისწინებული და გამოსწორებული, განმეორებით გაცნობებთ:
არქიტექტურის სამსახურმა 2011წლის 11 მარტს #12/20421-13 წერილით დაადასტურა I კლასის (58.0 კვ.მ და 3.50 სიმაღლის) ცხაურის ტიპის სასაწყობე ნეგებობის მშენებლობის შესაძლებლობა 6 თვით ვადით, ვინაიდან აღნიშნულ მშენებლობას 2011 წლის სექტემბერში გაუვიდა ვადა, სამსახურისთვის გაურკვეველია მოხდა თუ არა აღნიშნულის დემონტაჟი, ასევე გაურკვეველია მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის განთავსების ადგილი. უნდა გაითვალისწინოთ, რომ ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიის გარკვეული ნაწილი დატვირთულია სერვიტუტით, ასევე ვინაიდან აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე, ასევე სატრანსპორტო კვანძის გამყოფ ზოლში, მსუბუქი
კონსტრუქციის ნაგებობის განთავსება შესაძლებელია მხოლოდ დღეებითი სტატუსით (ისევ 6 თვის ვადით) სერვიტუტით დაუტვირთავ ტერიტორიაზე, ასევე ისეთ ადგილას, რომ არ იქნება ხილვადი არცერთი მაგისტრალური ქუჩიდან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

1. "მოთხოვნის შინაარსი"–ს ტექსტში მოთხოვნა დაყენებულ იქნას დროებითი სტატუსით მშენებლობაზე, ასევე განიმარტოს #12/20421-13 თანხმობით გაცემულ ცხაურის ტიპის ნაგებობის შესახებ.
2. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"–ს გრაფაში ატვირთულ იქნას ფოტოსურათები გადაღებული რამოდენიმე რაკურსიდან.
3. "ფოტომონტაჟი"–ს გრაფაში ატვირთულ იქნას ფოტომონტაჟები დამუშავებული არსებული სიტუაციის ფოტოსურათებზე.
4.. "ფაილის მიმაგრების" გრაფაში ატვირთულ იქნას საკადასტრო გეგმაზე მონიშნული საპროექტო ადგილი.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.